

მიღებულია

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 01 07/09/2021წ

დამტკიცებულია:

გიმნაზიის რექტორის მიერ

ბრძანება №73/003 - ა

წყალტუბო 09/09/2021წ

ქუთათელ-გაენათელი

მიტროპოლიტი:  /იოანე გამრეკელი/



**ა(ა)იკ წმინდა ბაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის
წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის**

კ ე დ ა ბ ო ბ ი უ რ ი ს ა ბ ო ს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი 2

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება 2

მუხლი 3. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს მოწვევა და უფლებამოსილება 2

მუხლი 4. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილება 2

მუხლი 5. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე/სხდომის მდივანი 3

მუხლი 6. გიმნაზიის პედაგოგთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება 3

მუხლი 7. პედაგოგიური საბჭოს საქმისწარმოების წესი 3

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები 4



მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დებულება შემუშავებულია საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ საფუძველზე.
2. გიმნაზიის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანოს, პედაგოგიური საბჭოს დებულებას უმრავლესობის გადაწყვეტილებით იღებს პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს გიმნაზიის რექტორი.
3. ამ დოკუმენტით განსაზღვრული მუშაობის წესი სავალდებულოა გიმნაზიის ყველა მასწავლებლისათვის.
4. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს კრების მეშვეობით საქართველოს „კანონზე ზოგადი განათლების შესახებ“ და გიმნაზიის შიდა აქტებზე დაყრდნობით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. დებულების მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. პედაგოგიური საბჭო - მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო.
 - 1.2. პედაგოგიური საბჭოს წევრი - მასწავლებელი, მასწავლებლობის მამიებელი, მოწვეული მასწავლებელი, სტატუსგარეშე დარჩენილი მასწავლებელი, რომელთანაც შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის და ამავე გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები;
 - 1.3. პედაგოგიური საბჭოს თავჯდომარე - პირი, რომელიც გიმნაზიაში ხელმძღვანელობს პედაგოგიურ საბჭოს.
 - 1.4. პედაგოგიური საბჭოს მდივანი - პედაგოგიური საბჭოს წევრი, რომელიც 1 (ერთი) წლის ვადით აირჩევა პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობიდან;
 - 1.5. პედაგოგიური საბჭოს ოქმი - ოპიციალური დოკუმენტი სადაც შეიტანება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებები.

მუხლი 3. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს მოწვევა და უფლებამოსილება

1. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს სხდომის მოწვევა ხდება სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ 4-ჯერ. გიმნაზიის ადმინისტრაციის ან/და გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის მიერ.
2. პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნას გიმნაზიის დამფუძნებელთა საბჭოს, გიმნაზიის ადმინისტრაციის, გიმნაზიის პედაგოგთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივის და მშობელთა კომიტეტის მიერ.
3. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება გიმნაზიის პედაგოგთა საბჭოს არანაკლებ 2/3-ისა.

მუხლი 4. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილება

1. პედაგოგიური საბჭო იხილავს და იღებს გიმნაზიის მართვა-განვითარებასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ დოკუმენტს (შინაგანაწესს, დებულებებს, სასკოლო-სასწავლო და 6 და 1 წლიან გეგმებს და ა. შ.)
2. იხილავს საინვენტარიზაციო კომისიების ანგარიშებს და ამტკიცებს გიმნაზიის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე მონიტორინგის ჯგუფების ნუსხას;
3. ამტკიცებს კლასის დამრიგებლებს (კომუნიკაციების მენეჯერის წარდგინების საფუძველზე), კათედრის თავმჯდომარეებს, კლასის და გიმნაზიის ბაზაზე არსებული წრეების ხელმძღვანელებს;
4. პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს გიმნაზიის სასწავლო-სააღმზრდელო საკითხებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში რექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

მე. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალმომარაგების სასულიერო ბიზნესი

5. საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს სასწავლო-საგანმანათლებლო მასალას. მათ შორის, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას.
6. განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას გიმნაზიის უსაფრთხოების სტრატეგიულ გეგმებთან დაკავშირებით. იცავს გიმნაზიის ინტერესებს, გეგმავს გიმნაზიის განვითარებას, განსაზღვრავს მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების ორგანიზაციის შინაარსს, მეთოდებს, საშუალებებსა და ფორმებს;
7. პედაგოგიური საბჭო მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ქმნის ცალკეული სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.

მუხლი 5. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე/სხდომის მდივანი

1. ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალმომარაგების სასულიერო ბიზნესის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე არის გიმნაზიის რექტორი.
2. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებია:
 - 2.1. პედაგოგიური საბჭოს სხდომების მოწვევა და მისი ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება.
 - 2.2. პედაგოგიური საბჭოს სხდომის წარმართვა.
 - 2.3. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლი;
3. ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალმომარაგების სასულიერო ბიზნესის პედაგოგიური საბჭოს მდივანი 1 (ერთი) წლის ვადით აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით;
4. პედაგოგიური საბჭოს მდივანი:
 - 4.1. უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის შეუფერხებლად ჩატარებისათვის შესაბამისი გარემოს მომზადებას(დღის წესრიგის მომზადება, მომხსენებლების გაფრთხილება, ოქმებისა და საბუთების წარმოება და ა.შ.)
 - 4.2. რეგისტრაციაში ატარებს სხდომაზე, წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ პირებს;
 - 4.3. სხდომის მიმდინარეობისას ინიშნავს საკითხებს და შემდგომი განსახილვისათვის წარუდგენს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს;
 - 4.4. უზრუნველყოფს ღია კენჭისყრის ჩატარებას;
 - 4.5. ახორციელებს პედაგოგიური საბჭოს საქმისწარმოებას;
 - 4.6. ასრულებს სხდომის თავმჯდომარის მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. გიმნაზიის პედაგოგთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. პედაგოგიური საბჭოში ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით;
2. პედაგოგთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს. თუ პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე არ ეთანხმება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებს, მას უფლება აქვს ვეტო დაადოს გადაწყვეტილებას და მოითხოვოს საკითხის სხვა დროს განმეორებით განხილვა. განმეორებით განხილვად საკითხზე კვლავ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, საკითხზე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ღებულობს გიმნაზიის რექტორი.
3. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია 2 (ორი) დღის ვადაში მიეწოდება გიმნაზიის მართვის ორგანოებს;

მუხლი 7. პედაგოგიური საბჭოს საქმისწარმოების წესი

1. პედაგოგიური საბჭო აწარმოებს თავის საქმიანობას წინამდებარე დებულების თანახმად.
2. პედაგოგიური საბჭო აწარმოებს სხდომების ოქმებს, რომლებიც იდება გიმნაზიის ნომენკლატურული ნუსხით კოდირებულ (დანომრილ) საკანცელარიო საქალაქო დეპარტამენტში (ბაინდერში).
3. პედაგოგიური საბჭოს ოქმები საბჭოს ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარედგინება გიმნაზიის რექტორს. ყოველ ოქმში აღინიშნება თარიღი და ნომერი. დანართის სახით დამსწრეთა

ნვ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალთუბოს სასულიერო გიმნაზია

გვარი და სახელი სწრებადობის ხელმოწერით დადასტურებული და სხდომის დღის წესრიგი. ოქმს ხელს აწერს პედაგოგიური საბჭოს თავჯდომარე და მდივანი.

4. პედაგოგიური საბჭოს ოქმების საკანცელარიო საქაღალდე ინახება გიმნაზიის ადმინისტრაციაში საქმისმწარმოებელთან.

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები

1. ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალთუბოს სასულიერო გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დებულებაში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს მიერ;
2. ცვლილებები და დამატებები მიიღება ღია ან დახურული კენჭისყრით, რის გადაწყვეტილებასაც კრება იღებს საკითხიდან გამომდინარე;
3. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პედაგოგიურ საბჭოს უმადგენლობის ნახევარზე მეტმა.

